ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ CPV60100000 ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრთა გადაყვანის მომსახურების'' შესყიდვის სატენდერო კომისიის

სხდომის ოქმი N1

ქ. ამბროლაური 19 დეკემბერი. 2019წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე - ზვიადი მხეიძე - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - გიორგი დონაძე - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

კომისიის წევრები:

1. ნიკოლოზ კენჭაძე - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
2. ბეჟან კობახიძე - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი;
3. გიორგი გაგოშიძე - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი;
4. მერაბ გეწაძე - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი;
5. ალეკო ქურციკიძე - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურული ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი;
6. ბელა აბაიშვილი - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი.
7. გიორგი გოძიაშვილი - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;
8. მიხეილ დალაქიშვილი - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი;

აპარატის წევრები:

1. ფატიმა კერესელიძე - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების ხელმძღვანელი.
2. თამარ ქევანაშვილი - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი;

საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:

1. ირმა ფრუიძე - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე;
2. ია სუთიძე - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

<u>დღის წესრიგი</u>

,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრთა გადაყვანის მომსახურების'' შესყიდვის მიზნით სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების განხილვა და დამტკიცება.

განხილვა

სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა შორენა ფრუიძეს სატენდერო კომისიას წარუდგინა სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი.

სატენდერო კომისიამ განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და აღნიშნა, რომ იგი შეესაბამება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივლისის #12 ბრძანებით დამტკიცებული ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ წესის" მოთხოვნებს.

კომისიამ დაადგინა

1. დამტკიცდეს ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრთა გადაყვანის მომსახურების" შესყიდვის ელექტრონული ტენდერის სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი;
2. დაევალოს სატენდერო აპარატის წევრს ფატიმა კერესელიძეს სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობებით აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

კომისიის თავმჯდომარე ზვიადი მხეიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი დონაძე

კომისიის წევრები: ნიკოლოზ კენჭაძე

ბელა აბაიშვილი

ბეჟან კობახიძე

გიორგი გაგოშიძე

მიხეილ დალაქიშვილი

მერაბ გეწაძე

გიორგი გოძიაშვილი

ალეკო ქურციკიძე

სხდომის მდივანი ფატიმა კერესელიძე

Ambrolauri municipality
Digitally signed by Ambrolauri municipality
Date: 2019.12.19 12:12:23 +04'00'